



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის
დამოკიდებულება ქვეყანაში ბიზნესგარემოს განვითარების კუთხით

ვერიკო შარვაშიძე

ჯგუფის # _____

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი:

გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ვერიკო შარვაშიძე

28. 01. 2020.

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პირობებში, საქართველო ის განვითარებადი სახელმწიფოა, რომელიც მუდმივად ცდილობს გაატაროს რეფორმები, რათა დაუახლოვდეს საერთაშორისო მოთხოვნებით არსებულ სტანდარტებს. აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და გარდამტეხ ცვლილებებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში განხორციელებული რეფორმის კუთხით, რომლის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო გასაჯაროვება აღმოჩნდა წინაპირობა ახალი ქართული მონაცემთა ბაზის შექმნის. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა დადებითად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოს განვითარებაზე, მაინც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ რეფორმის მიხედვით არსებული მოთხოვნების შესრულება დამატებით ხარჯად აწვება საქართველოს ბაზარზე არსებულ ბიზნეს სუბიექტებს. ამასთან, ქვეყანაში არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზრები, არ არის შექმნილი კონკურენტული გარემო, რთულია ამ მიმართულებით მაღალ-კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოძიება, გარე ინვესტორებისთვის საჭიროა მეტი სტიმულის მიცემა ინვესტირება მოახდინონ საქართველოს ბაზარზე.

ნაშრომის ჰიპოთეზას წარმოადგენს შემდეგი, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში განხორციელებული რეფორმა დადებით ეფექტს ახდენს ბიზნესგარემოს განვითარების კუთხით. ნაშრომის მიზანს კი წარმოადგენს ჰიპოთეზის განმტკიცება შესაბამისი ლიტერატურის და კვლევების დახმარებით.

ამრიგად, კვლევის პირველ ეტაპზე ინდუქციური მეთოდით შევარჩიე სათამაში ბიზნეს სექტორში ყველაზე აქტიური კომპანიები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მახასიათებლების გათვალისწინებით. შემდეგ, გამოვითვალე მათ მიერ ანგარიშგების პორტალზე ატვირთულ ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით რელევანტური კოეფიციენტები, რათა მომხდარიყო აღნიშნული ბიზნეს სექტორის მდგომარეობის გაანალიზება. აღნიშნული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სხვადასხვა ხარვეზების მიუხედავად ქართული ბიზნესი საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ

საზედამხედველო სისტემას დადებითად შეხვდა, რაც მომავალში რეფორმის წარმატებით გაგრძელების იმედს გვიტოვებს.

კვლევის მეორე ეტაპზე, საქართველოს და 5 მეზობელი სახელმწიფოს (სასომხეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი) მაგალითზე წარმოვადგინე კანონის მიღების პროცესი ქვეყანაში საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მიღების კუთხით, შემდგომში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის The Heritage Foundation-ის რეიტინგებზე დაყრდნობით დავადგინე ამ პროცესის კორელაცია ქვეყნის ბიზნესგარემოს განვითარებასთან საერთაშორისო პრაქტიკაზე დაკვირვებით.

ამრიგად, ნაშრომიდან გამომდინარე გამოვიტანე დასკვნა, რომ ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა ორ ჭრილში განიხილება: რამდენად კარგი ხარისხისაა რეგულაციური ჩარჩო და რამდენად კარგად ხდება აღნიშნული რეგულაციური ჩარჩოს რეალობაში აღსრულება. შედეგად მივიღე დასკვნა, რომ ინფორმაციის გამჟღავნება და ფინანსური გამჭვირვალობა ქვეყნის ეკონომიკაზე დადებით ეფექტს ახდენს, აუმჯობესებს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს, საწარმოებს ფინანსებზე წვდომას უმარტივებს და საზოგადოებას საიმედო ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციით ამარაგებს.